ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4747200

ნომერი: AR1717235

თარიღი : 07.11.2019

გაცემის თარიღი : 12.11.2019

გაცნობის თარიღი : 12.11.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო , და კოსტავას I შესახვევს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბონდო ღავთაძე პ/ნ 35001116280
- რუსთავი ალ.მესხიშვილის I გას. კორ. 9 ბ. 35

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს უოთერ ანდ ფაუერი კოდი: 203826002

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 7 ნოემბრის AR1717235 განცხადება. იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე სრულყოფილად მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი ხარვეზები

1. ვინაიდან საპროექტო კიბე ეწყობა საზოგადოებრივ სივრცეში, საჭიროა წარმოადგინოთ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნული საპროექტო ობიექტის განთავსებასთან დაკავშირებით;
სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი AR1717235 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.